

როესი წიგნები. ძარგი მასალების მოკრება სხვა-და-სხვა წიგნებიდან ისეთი ძნელია, როგორც დაბნეული მარცვლების.

საგანი ერთობ ვრცელია. რუსულს ენას მარტო ერთი მასწავლებელი კი არ ასწავლის თავიდან გათავებამდის, არამედ ბევრი, და ამ ნაირათ ასწავლებენ მოსწავლენი კარგათ შესწავლას ამ ენისას. მარტო უნდა იყოს ქართულის ენის შესახებაც; მაგრამ ბევრი კი არა, ერთიც არ არის ზოგიერთ სასწავლებელში და მარტო ერთი მასწავლებელი რას გაარიგებს, მეტადრე მაშინ, როდესაც პროგრამა არ არის, გაკვეთილებიც ცოტა და საშუალებაც მცირეა მასწავლებლისათვის!

სანამ ეს მიზეზები არ იქნებიან მოსპობილი, მანამ არ შეიძლება ქართულის ენის კარგათ სწავლა, რაც უნდა ეცადოს კაცმა.

რაიცა შეეხება იმ ჰაზრსა, რომელიც ბ. ძამასვილიმა წარმოსთქვა შესახებ ქართული ენის სწავლისა, სრულიად თანხმა ვარ, რომ მართლა ერთმანეთის შემწობით, შეერთებულის შრომით პროგრამა უნდა შედგეს და მაშინ სწავლა ქართულის ენისა გაუმჯობესდება. და ნაყოფსაც გვიტანს. მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა გვექონდეს მთავრობისაგან ნება ოთხა და უნდა ვიცოდეთ: სად, რომელ სასწავლებელში, რომელ კლასამდის იქნება ეს ენა დანიშნული? თუ ესე უხერხოდ იქნა დანიშნული, როგორც ეხლა, მაგალითებრ, ზოგიერთ სასწავლებელში მეშვიდე კლასამდის, ზოგიერთში მეოთხედის და ზოგიერთში — მესამედის, მაშინ ყოველმა მასწავლებელმა თავის საკუთარი პროგრამა უნდა შეადგინოს იმ სასწავლებლისათვის, სადაც ის ქართულს ასწავლის. მხოლოდ, თუ მთავრობისგან ნება გვექნება და კადევაც გვეცოდინება, რომ ამ ენას ყოველ სასწავლებელში ერთი დანიშნულება ექნება, ერთი და იგივე კლასები და გაკვეთილები იქნებიან განუსაზღვრელი და დანიშნულნი, მაშინ ძალიან ადვილათ შეიძლება ამ საქმის გაკეთება...

ერთი მასწავლებელთაგანი ქართულის ენისა.

ქუთაისის ბანკის კრება

(დასასრული შეკრება, სხდომისა)

ამის შემდეგ დაუბრუნდნ თითო-თითოთ იმ § § განხილვას, რომელიც გუშინ წაიკითხეს ერთად. საზნაურო სკოლას, რომელსაც წერულს 8,000 უნდა მისცემოდა, შარშანდელს 6,000 მანეთის მაგიერ, ძრებაჲ ერთხმად გადაწყვიტა სკოლის მზრუნველობისაგან ნათხოვნი ფულები მისცემოდა.

ბ. იოსებ ლაღუა: ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს, ბატონებო, სკოლებზედ. რაც შეძლება და ღონე გვაქვს, ამ სკოლებს მოვანზაროთ, ჩვენთვისვე ემჯობინება. აქ წარმოგიდგინეს ქუთ. საზნაურო

სკოლის მზრუნველთა თხოვნა, წერულს 2,000 მან. მოგიმატეთო შარშანდელ ხარჯზე. რაღა თქმა უნდა, უნდა მიეცეთ, მაგრამ ერთი შენიშვნა კი ჩვენი მხრით მტკი არ იქნება. ეს სკოლა ჯერ-ჯერობით ყველა მზრუნველისთვის არის მაგრამ თითქმის მარტო ქუთაისის მხარა სარგებლობს მითი: დაშორებულ მხარეებში, მაგ. ოდიშიში, ერთობ ცოტანი არიან ყმაწვილები მიღებულნი. ამის მიზეზი უფრო მათი წლოვანება იყო, რამდენადაც ვიცო.

ს. ჭაჭინაძე (ზედამხედველი საზნ. სკოლისა). თანხმა ვარ ბ. ლოლუასი, რომ უმთავრესა ყურადღება თავად-აზნაურობისა მიქცეული უნდა იყოს ყმაწვილების აღზრდის საქმეზე. მე მხოლოდ შევეხები კერძო მხარეებს ბატ. ლოლუას სიტყვისას. იმან ჰსთქვა, ვითომც ქუთაისზე დაშორებულ მხარეებში ცოტა იყოს მოსწავლეთა რიცხვი მიღებული წლოვანების დაბრკოლებით. მაგრამ, ბატონებო, რომ შეცდომაში არ შეგიყვანოთ თქვენ, და ჩვენც, ვინ იცის, ბრალი არ დაგვედვას უსაფუძვლო, მოგახსენებთ, რომ წლოვანება აქ არაფერს შუაში არის: საზოგადოთ ცოტანი იყვნენ შორეულ მხარეებისაგან მსურველნი და ვინც იყვნენ, თითქმის ყველანი მიღებული იქნენ. თუ ბევრი არ გამოცხადდამსურველი ხსენებულ მხარეებში, ეს იმითაც აიხსნება, რომ წარსულ წელში ძლიერ ცუდი ზამთარი იყო, გზები კი ხანს შერყულნი იყვნენ, და ვერაფერი მოვიდა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ქუთაისის გუბერნიისაში ზოგი კუთხეები ისეთები არიან, სადაც ჯერაც არ იციან, არსებობს თუ არა საზნაურო სასწავლებელი; უწყებებშიც არ მიუღის ბევრს თავის დროზე.

„ნაძღვლია, რომ სიღარიბე მოსწავლეთა მშობლებისა და სიმორცხოვანობით მზრუნველთა დაბრკოლებას აძლევს საქმეს. ბევრს სიღარიბე იმდენათ აბრკოლებს, ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ავად ხდება და მთელი ორი-სამი თვე სწავლას აკლდება. თუ ამისთანა იქნა მოსწავლეთა მდგომარეობა და არ შემსუბუქდა, ძნელი იქნება ხეირიანად მათი სწავლების წაყვანა. ამიტომ მოგახსენებთ, რომ უმთავრესი ყურადღება მოსწავლეთა მდგომარეობაზე უნდა იქნეს მიქცეული,

თავს-მჯდომარე ჰკითხულობს, რომ ზედამხ. კომიტეტმა განიზრახა ქუთაისის საქალბო ღიმნაზიის თერამეტი წლის განმავლობაში ყოველ-წლივით 1,200 მან. ეძლეოდეს, რადგანც მრავალი საჭიროება აქვს ამ ღიმნაზიის და შეძლება კი ცოტაო.

ძრება ამაზედ ერთხმად დათანხმდა. ზედამხედველი კომიტეტის წევრი ბ. ნ. ყიფიანი. ბატონებო, თქვენის გულ-უხეობითა და ქველ-მოქმედების სიყვარულით თქვენ სწორავთ ყოველ-წლივით თერამეტი წლის განმავლობაში 1,200 საქალბო ღიმნაზიის.

ამისთანა გულ-უხე და ოქვენგან, რასაკვირველია, ყოვლად მოსაწონია. მხოლოდ, ერთი პირობა დასძინეთ ამ თქვენს გარდაწყვეტილებას: სახელდობრ ისა, რომ საქალბო ღიმნაზიაში, სადაც გვეზღებთან ჩვენი მომავალი დედები, ჯერჯერნი ადგილი მისცენ და სათანადო ყურადღება ნიაქციონ ჩვენს დედა-ენას. „დროების“ № 85-ში დაბეჭდილი იყო წინა-სტატია, რომელშიაც ცხადად არის გამოხატული ქართული ენის ბედი ჩვენს საქალბო სასწავლებლებში. როგორც ჩვენ საკუთარის დაკვირვებით ვიცით, და ამ ჩინებულის სტატიაშიც ხანს, ჩვენი საყვარელი და ძვირფასი დედა-ენა სამასხაროდ არის ავადებული საქალბო სასწავლებლებში. (ხმაურობა. „მინ ბედავს?“ „თუ ასეა, გროშსაც ნუ შევეწვიეთ!! ბაისმის კრებაში). აწ თქვენ თქვენს წელანდელს განჩინებას შემდეგი პირობა დართეთ: ამ ფულებს ჩვენ ვწირავთ-თქო იმ უსათუო ზნობით, რომ ქართულს ენას ჯერჯერნი ყურადღება მიექცის და შესაფერა ადგილი მისცენ ზემოხსენებულს ღიმნაზიაში.“

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! იმის მთელი კრების შეერთებული, გრგინვისებრივი ხმა.

ძრებაჲ ერთ-ხმად მოსთხოვა თავს-მჯდომარეს, რომ მისგან განჩინება მიღებული ნ. შიფიანის წინადადება შეტანილ იქნეს პროტოკოლში.

რამდენიმე წამის შემდეგ თ. ძამა გუჩიყაძე შემოიტანა წინადადება, რომ ზემოხსენებული განჩინების რედაქცია ასე შეცვლილიყო: „თუ ქართულს ენას ჯერჯერნი ყურადღებას და შესაფერს ადგილს არ მისცემენ საქალბო ღიმნაზიაში, თავად-სზნაუროთა ქუთაისის ბანკი მაშინვე მოუსჯობს ამ ფულებს (1,200 მან.) მიკუმას, რომელიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, 18 წლის განმავლობაში უნდა ეძლიოს ზემოხსენებულს ღიმნაზიას“ (ბრაუო და ტაში).

ძრებაჲ მოიწონა და სთხოვა თავს-მჯდომარეს წინადადების განჩინების შეცვლა ამ რედაქციისამებრ.

გ. ხულოძე. მარტო საქალბო სასწავლებლებში არ ვახლავთ ჩვენი დედა-ენა სამასხაროდ ავადებული (ხმაურობა) ამ რიგსავე მდგომარეობაში იგი საეჭო ღიმნაზიებშიაც. მართულს ენას ამ ღიმნაზიებში ან სულ არ ასწავლიან უპირაღეს კლასებში, ან და თუ ასწავლიან ზოგიერთებში, მათშიაც ისე, ფორმისთვის. მართული ენა და მისი მასწავლებელი წრის გარედ, მაჩანჩალად არის დარჩენილი! (ხანგრძლივი ხმაურობა). იყო დრო, როცა ის ვაჟბატონები, რომელთ ხელშიაც არის სწავლების საქმე, სრულიად უარ-ჰყოფენ დედა-ენის ხმარებას სწავლებაში. მხლა კი მათ დავეითმეს ერთი მესამედი ბიჯისა. მათის აზრით პირველ-დაწყებითი, და ჩვენ კი ვთქვით ყოველივე სწავლა მაშინ არის მხოლოდ ნაყოფიერი, როცა ის არის დედა-ენაზე (მოწო-

ნება). ღღეს თუ ჩვენი ყმაწვილები ისე კარგად და გაღალატებულნი ვართ ვერ სწავლულბოზენ, როგორც სასურველია, ეს იმის გამო არის, რომ მათი გონება ვბრძვის იმ უცხო ენის უტოდინარობას, რომელზედაც მათ ასწავლიან და არა საგანთა შემეცნების სიძნელეს (ბრაუო). ამის უარ-ჰყოფას თვით ზემოხსენებულნი ვაჟბატონებიც კი ვერ შესძლებენ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ გულის-მომწყვლელ მიზეზის სრულად აკლენა არ შეიძლება... ღღეს ძალა-უნებურად უფრო ნაკლებსაც უნდა დავჯერდეთ... მეცადოთ და მოვითხოვოთ, რომ ქართული ენის სწავლებას ჩვენს ღიმნაზიებში კანონიერი, სხვა საგანთა და ენებსავეთ, ჰქონდეს მინიჭებული ადგილი. (ძალიან კარგი). თუ გვეტყვიან, რომ ჩვენ შეძლება არა გვაქვს, მაშინ უფლება ჰქონდეს ბანკს, რომ მან დააკაყოფილოს შეძლების-და-გეარად ქართულის მასწავლებელი; და ამ ნაირად პირში ბურთი ჩაეუდოთ შეუძლებლობაზე მიმითვებელ ვაჟბატონებსა. (ბრაუო).

ძრებაჲ დაადგინა, რომ ზედამხედველ კომიტეტს მიენდოს ჩვენს ღიმნაზიებში ქართული ენის მოსალოდნელ კათედრისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა. ზრუნვა კი ამ საგანზედ თავად-აზნაურობამ იკისრა.

ღანარჩენი მუხლები საზოგადო საჭიროებათათვის გადადებულ ფულების განაწილების პროექტისა უბაასოდ დაამტკიცა კრებამ. ო სია თუ რაზედ რამდენი ფული მოახმარეს:

საზნაურო სკოლას—8,000 მან.,
შ. ნინოს საქალბო ღიმნაზიის (პირობით)—1,200 მან.,

ორი სტიპენდიის (ბეს. ლობაგრიძის და ღიდი მთავ. ოლგა თეოდორის ასულის სახელობაზე) ფონდისათვის—1,000 მან.,

სტუდენტებს—1,000 მან.,
საზნაურო სკოლის ღარიბებს—500 მან.,

კონვიქტებს (აღრინდელ სამხედრო მაგირდებს, რომელნიც ახლა ქუთაისის საეჭო ღიმნ. პანსიონში სცხოვრებენ)—350 მ.,


ქუთაისის ღიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დახმარებელ საზოგადობას—300 მ.,

ღანარჩენი ფულები მიემატა საზოგადო საჭიროებათა კაპიტალს. სხდომა დაიხურა 3³/₄ საათზე.

ახალი ამბები.

ღიდ მთავარს ძავეკასიის ნამესტნიკს დღეს, ხუთშაბათს, მოვლიან ჩვენს ქალაქში.

ზორილამ გვეწერენ, რომ 11 მაისს აღიდებულმა მტკვარმა ჩვენი სოფლური ხიდი წაიღო და ახლა ისევ პარომი და ნაეტიკები გამართეს; მაგრამ პარომამდინ და ნაეტიკებამდინ მისვლა თითქმის ათი შაური ჯდება;



რადგან მტკვარმა ნაპირებზე ძალიან გაიწიაო. „ღარიბ ხალხმა იკითხოს, თორემ ჩვენ ძალაქის მთავრად უშავს: ზურგზე აეკიდება ხოლმე კაცებს და ისე მიდის პაროზამდინო!“

(10-001) * *

ჭუთანის მახრის სოფ. ჭოლგელად გეტყობინებენ, რომ ხურება თანდათან ვრცელდება ჩვენცნო; ამ დღეებში კიდევ სამი სული იმხვერპლაო და თუ მთავრობამ ყურადღება არ მოგვაქცია და ექიმი არ გამოგვიგზავნა, შეიძლება სხვა სოფლებშიაც გავრცელდესო.

* *

ჭუთანის მახრისე, სოფ. მჯოლადა გვწერენ, რომ ჩვენს სოფელში სცხოვრებს, სხვა-და-სხვა ურიგო მოქმედებისათვის გადაყენებული, მღვდელი მ. მ—ნი, რომლისგანაც ხალხი ერთობ შეწყუბუნებულია. ამის წყალობით ამ წელიწად - ნახევრის განმავლობაში ხუთი მღვდელი გამოიცივალა ჩვენს სოფელში და აი ამის მახეზოა: ეპისკოპოსის გარდაწყვეტილებით მღვდელმა ნახევარი შემოსავალი უნდა აძლიოს ამ გადაყენებულ მღ. მ. მ—ანს და ეცეცაშინებს მღვდლებს, რომ ქარწინებისათვის ოთხ თუმანს არ გარდახდენინებ და ზვარაკის კურთხევისათვის თუმანს და ასე ამ გვარდ, ნახევარს ამ ფასისას მე შენგან ავიღებო. ამ ნაირად მღვდელსაც აწუხებს და ერთსაც მღვდელი ვერ სძლებს სოფელში და ძალა-უნებურად გადადის სხვა სამრევლოში.

* *

ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი (პარიზის) წიგნი სომხურის ჟურნალის „ფაქტისა“, რომელიც შემდეგ სტატიებს შეიცავს: „ისტორიული განხილვა სომხის ლიტერატურისა მე-XIX საუკუნემდინ—ა. მარციანისა; „ღაღისტანი და შამილი“—ბ. ზაქარიანისა; მარწინება სომხის ეკკლესიის წესით—არხ. მ. ბასტამანისა; „მგზავრის შენიშვნები“—მარქერუნისა; „ანტონი“, ისტორიული საუბარი—ბ. მხერისისა; „მარგარიტა მღვთის მშობლის ხატის წინაშე“, ბიოტეს „ფაუსტიდამ.“ საზოგადო კრება იათუწიგნების გამოცემელ სომხის საზოგადოებისა; „სომხური ენის სწავლება რუსეთის სასწავლებლებში“ და სხვ.

* *

მუშინდელ ნომერში რომ ჭუთანისილამ ტელეგრამა იყო დაბეჭდილი, იმ ტელეგრამაში ზედამხედველ კამიტეტის წევრებში გამოხვედებულია მის. ღარახველიძე, რომელიც კრებამ აგრეთვე ამოიჩინა ზემოხსენებულ კამიტეტის წევრად.

ძალაქის რჩემის სხდომა

11 მაისს.

სხდომის დაწყებისათვის თანავე ხმოვანმა სტ. გ. ზარაფოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა გრაფ ლორის-მელიქოვის

შესახებ, მოიხსენა—თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმის სახელმწიფო მოქმედებას, რა კარგისა და საქმის აზრით ხელმძღვანელობდა თავის მოვალეობის აღსრულების დროს და სხვ. და შეიტანა წინადადება რჩევაში, რომ ძალაქმა თანაგრძობა გამოუცხადოს ლორის-მელიქოვს და თან თავის მწუხარება იმისაგან მინიშნავს საქმეთა მინისტრის თანამდებობის დატოვებაზე.

რჩევამ ერთ-ხმად მიიღო ბ. ზარაფოვის წინადადება და გარდაწყვიტა თანაგრძობითი ტელეგრამა გაუზავნოს გრაფ ლორის-მელიქოვს.

შემდეგ ქალაქის თავმა მოახსენა რჩევას, რომ, რადგან ქალაქს მიეცა უფლება სესხის აღებისა (750 ათასი მან.), ამის გამო საქმეს უნდა შეეუღლებოთ ახლო. სხვათა შორის ობლიგაციების ბეჭდვის თაობაზედ მოლაპარაკება გვაქვს თ. პ. ბებუთოვთან, რომელიც ამ ქაშად პეტერბურგში სცხოვრებს და ამ საგნისათვის 1,000 მან. არის საჭირო. ამას გარდა რჩევამ უნდა ამოიჩინოს კამისია ამ სესხის (ობლიგაციების) გასაწვდომად.

რჩევამ გარდაწყვიტა: ამოიჩინოს ცალკე კამისია ამ სესხის გასაწვდომად და იმას მიენდოს ყველა ხარჯი, რაც კი ამ საქმისათვის საჭირო იქნება. ძამისიის წევრებად ამოიჩინეს: ა. მანთაშოვი, ა. ჩოლაყაშვილი, ი. შითოფვი, ა. შრიდონოვი, ს. ზარაფოვი, ა. იონესიანი და ბ. მანგულოვი.

ზამგეობის მოხსენებით, რჩევამ გარდაწყვიტა, იჩილოს სენატში ძაკეასიის მთავარ სამმართველობაზედ, რომელიც ქალაქის თეატრისა და საზოგადო ბიბლიოთეკისათვის ახდევინებს ქალაქს წელიწადში 7,030 მანეთს.

რჩევამ გარდაწყვიტა ამას გარდა, რომ საეპარო შეიღის გადატანის თაობაზედ სუბპათოვის მამულზე შემდეგ სხდომაზე მოილაპარაკოს, რადგან მარზოვეის მხრით შემოვიდა წინადადება, რომ იმის მამულში (ქარხნის მახლობლად) გადმოიტანეთ საეპარო შეიღანი.

„დროების“ კორექცია

რაჭა, 29 აპრილს. როგორც გავიგონია, ჩვენი წინაპარნიც დახილენ ჩვენს რაჭას უბედურს. მართალიცა... რაჭა, როგორც ერთი განაკიდის უზღი და მალაღს მთებს შუა ჩამწყვედული, მართლა უბედურს მდგომარეობაშია. ამ საწყალს უზღზე ადგილობრივ მმართველობას მომართებული მზრუნველობა და ყურადღება არა აქვს, რაჭის მცხოვრებლების საჭიროებისათვის იგინი თავს არ იტყვენ.

მომრიგებელ მოსამართლის იასაულები დაბარებულ პირებს უწყებაებს არ აბარებენ, არამედ ამ პირების მაგივრად ვილაცა სხვას აწერინებენ ხელს უწყებებზედა; გარდაწყვეტილების პირი არ ეგზავნება კუთვნილო-

ბისა-მებრ და ამნაირად მოჰყავსთ სისრულეში.

ზნები და ხილები ჩვენ აღარ გვივარგა; უზღის მმართველი სუსტა გვყავს, სოფლის მოხელე პირებს იმისი არ ემინათ; უმთავრესი ყურადღება ბ. პრისტაეის ჯანელიძისა ამ ქაშად არის მიქცეული ზნაკის გზის კეთებაზედა. წარმოიღვინეთ ამისთანა გაცხარებულს მუშაობის დროს ყოველ კვირაში მთელი მვემო-რაჭის საზოგადოებრივან ოც-ოც-და-ათი კაცი მაღიან ამ გზის საკეთებლად. ეს გზა არაფერი ხალხისათვის არ არის საჭირო; იმაზედ ფოჩტა არ არის, იმაზედ მმართველობის კაცი არ დადის, ეს გზა არის საჭირო მხოლოდ ნიკორწმინდის საზოგადოებისათვის, სადაც ბ-ნ ჯანელიძის აქვს სახლი. ნიკორწმინდის მცხოვრებლებს აქვს ბუგეულსა და საკეციაში ვენახები; იგინი ზიდვენ ამ გზით ლენოს რთველზედ. ამ გზის კეთება დაიწყო წასრულს 1880 წელში, ბევრი სახნავე ყანები და ეზოები გაიჭრა ამ გზისათვის და იქაურს მცხოვრებლებს დიდი ზარალი მიეცა და ამათ კიდევაც იჩილეს ლუბერნატორთან, რომელიმაც მოსთხოვა უზღის ნაჩაღნიკს ამ საჩივრებისა-მებრ ნამდვილი ცნობანი; მაგრამ მომჩივრებმა ბოლოს უარი სთქვეს თავის საჩივარზედ, ეს საჩივრები ვითომც ყოფილიყვნენ მათ გაუგებლად სხვისგან შეტანილი და ამ სახით, როგორც ამბობენ, მოუხპიათ ეს საჩივრები.

სხვა სოფლებში რაჭის უზღისა არ შეგიძლიათ გაიაროთ, ცუდის გზებითა გამო, რადგან არ კეთდებიან, ხალხი კი მიაკლეს უსარგებლო გზის კეთებას ზნაკეში. ამბობენ, ამ სოფელში გზის კეთების დროს ჯიბები გაიფესო, რადგან პლანი გზისა ხშირად იცვლებოდა.

ზამოვიდა ხმები, რომ რაჭაში რევიზორი მოდისო. უზღის უმფროსმა იმწამსვე ვაცა ბრძანება, მამასახლისებმა სასოფლო სასამართლოების საქმების სია გაუკეთონო და კანცელარიები კარგათ დახურონო. თქვენი ტირიმი, რა საჭირო არის ესენი? შევლამ იცის, რომ მამასახლისებს ოპისები (სიები და ალფავიტები არ ესმისთ)...

თუ ღმერთა ინება და რევიზორი მოვიდო, ის უქვევლია, რომ ხალხის საჭიროებას გაიგებს და იკითხავს.

რუსეთი

„Церковно — Общественный вѣстник“ — ბრ. ლორის-მელიქოვის თანამდებობილად გამოსვლაზედ ამბობს შემდეგს:

ბრ. ლორის-მელიქოვის თანამდებობილად დათხოვნა მძიმე სახელმწიფო ცვლილებათაგანია. ხალხში ხმა არის გავრცელებული, რომ ამ ცვლილებას კავშირი აქვს სახელმწი-

ფოს მმართველობის სისტემაში, რომლის სასიკვდილო წარმოადგენლად იყო კაცი, რომელიც ამ ქაშად მორღება სახელმწიფო საქმეებს. რამდენად მართალია ეს ხმა—ამას დავემტკიცებს ახლო მომავალი; მაგრამ ის კი არ არის საეკეო, რომ მთელი რუსეთი, ყველანი, ვინც კი არის ამ ქაშად პატრიოტულის გრძობით აღვსილი და სცხოვრობს მხოლოდ კარგის მომავლის იმედით, ყველანი შემაწუხებელის გრძობით მოისმენს ამ ამბავს. მხუთმეტი თვის სახელმწიფოს მმართველობა ბრ. მიხაილ ტარილოვიჩისა შეადგენს უმშვენიერეს დროს ჩვენი სამშობლოს შინაგან ცხოვრებაში. იმას უნდა უმაღლიდეს რუსეთი საზოგადო გამოუხიზლებისათვის, რომელიმაც ის დროებით იყო ჩაფარდილი და იმ დროის დაბრუნებისთვის, რომელიც შეადგენდა საუკეთესო დროს განსვენებულის ხელმწიფი-იმპერატორის მეფობისას; იმან დაადგინა საუკეთესო პოლიტიკური წესები; ლორის-მელიქოვის უნდა უმაღლოდეს რუსეთი საზოგადოების აზრის განთავისუფლებისათვის, რომელიც იყო დაჩაგრული სხვა-და-სხვა ბევრ გვარ შემაფიწროებელ ხერხებით და, საზოგადოთ, იმ საქებ და განმავითავისუფლებელ საშეაღებების შემოღებისათვის, რომელიმაც ცხადათ გვიმტკიცებენ, თუ მომავალში რამ დენათ საუკეთესო წესების მქონე ვიქნებოდით და რამდენათ გამაგრებული ვიქნებოდით ზნეობითი და მატერიალური ძალით.

წარმოუდგენელი უტყინობა და უსეინდისობა იქნებოდა, რომ 1 მარტის შემთხვევა შეეკავშიროთ ბრ. მიხაილ ტარილოვიჩისაგან სახელმწიფო მმართველობაში შემოღებულ წესებთან; რუსეთის სასიკვდილოთ, ამ გვარი შეუპოვარი აზრი გამოისმა მაინც ხმა-მალლა ზოგიერთ რეტროგრადულ მწერლობისგან.

ბოლოს ვაზეთი ვერე ათავებს: „ღიდის მადლობის გრძობით მოვიგონებთ მოკლე ხნის, მაგრამ ყოველად სასარგებლო და ბევრად საიმედო სამსახურს ბრ. მიხაილ ტარილოვიჩისას; ვისურვებთ მისთვის სრულ დამშვიდებას და მოსვენებას იმ შრომისა და მღელვარების შემდეგ, რომელიც მოუშორებლივ თან ახლდა მას მის მშვენიერ და ფრიად ნაყოფიერ საზოგადო სამსახურში.“

თფილისის სამაშრალო

ავათყოფები მიიღებენ დიდის ცხრა საათამდე ვიდრე ჩამოადადკის პირველ საათამდინ.

რ შ ა ბ ა თ ს. გავრანსკი — ექიმი ბუბიაბისას და ქაქუბის ავათყოფებისას; გარალკისი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათყოფებისას; რატინიანცი — ქაქუბისას და უმწვილების ავათყოფებისას; შაპკვი სისუსტის და შინაგან ავათყოფებისას; შტეპურსკი კვერთულ და ტყავის ავათყოფებისას.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკუკისი — სირუკიული ავათყოფა; რესი — თვალკეას

